ორმოქმედებიანი სპექტაკლი ფსევდორეჟისურითა და ცუდი მსახიობებით

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 12 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (მოსკოვი) 1:1.

თბილისი: აბუსერიძე, კეტაშვილი, ჩივაძე, მახარაძე, მიქაბერიძე, კაკილაშვილი, ჟორდანია, სულაქველიძე, გუცაევი, ცაავა, შენგელია.

მოსკოვი: პრუდნიკოვი, მატიუნინი, სილკინი, ფომიჩევი, გოლოვნია, ხაპსალისი, ატაულინი, პუდიშევი, ჩესნოკოვი, კარატაევი, გაზაევი.

30–ე წთ. კეტაშვილი, 54–ე წთ. გოლოვნია.

46–ე წთ. მიქაბერიძის ნაცვლად – არზიანი, სულაქველიძის ნაცვლად – პაიკიძე, 55–ე წთ. გაზაევის ნაცვლად – ბოროდიუკი, 81–ე წთ. ხაპსალისის ნაცვლად – დემიდოვი.

მსაჯი: მიროსლავ სტუპარი (ივანო–ფრანკოვსკი).

კარში დარტყმა – 21:12 (14:5), ზუსტი დარტყმა – 6:9 (3:3), საჯარიმო მოედნიდან – 4:7 (2:3).

კუთხური – 4:10 (2:6).

დაჯარიმდნენ: თბილისელები – 3 (1), მოსკოველები 11 (4).

დუბლიორები – 3:0. გოლები გაიტანეს გურულმა (2) და ცხოვრებაშვილმა.

თამაში სულ ახალი დაწყებული იყო, როცა ჟორდანიამ ზედიზედ ორჯერ დაარტყა მოსკოველთა კარში – პირველი მცველმა მოიგერია, მეორე – მეკარემ, ეს იყო და ეს. მასპინძლებს მთელი ტაიმის განმავლობაში, ერთი შემთხვევის გარდა, ფაქტიურად აღარც შეუწუხებიათ პრუდნიკოვი. ის ერთი შემთხვევაც სტუმართა კარისკენ დანიშნულ საჯარიმოს მოჰყვა – თბილისელებმა კარგად გამოიყენეს ეს შესაძლებლობა და კეტაშვილმა თავისიანები დააწინაურა – 1:0.

მოსკოველებმა, აქამდე სავსებით რომ ამართლებდნენ აუტსაიდერის სახელს, მხოლოდ გოლის გაშვების შემდეგ გამოიღეს ხელი, თუმცაღა ამ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია – რამდენიმე სახიფათო შეტევა აბუსერიძის თავგანწირულმა თამაშმა უვნებელყო.

დაახლოებით იმავე სცენარით წარიმართა მეორე ტაიმის დასაწყისი. სტუმართა ერთ–ერთი შეტევისას, ცოტა არ იყოს, გაუგებარ სიტუაციაში შეხვედრის არბიტრმა თბილისელთა კარში თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დანიშნა. გოლოვნიამ ზუსტად დაარტყა – 1:1. ეს იყო 54–ე წუთზე…

ის, რაც ამის შემდეგ ხდებოდა მინდორზე, ფეხბურთის იმიტაცია უფრო იყო, ვიდრე ნამდვილი სპორტული ორთაბრძოლა. ეტყობა, ფეხბურთელებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და ბურთის აქეთ–იქით გორებითღა იქცევდნენ თავს. სამწუხაროდ, არც ერთ მათგანს აღარ გახსენებია ამ სიცივეში საყვარელი გუნდის თამაშის სანახავად მოსული ათიათასობით მაყურებელი, ყურიც არ უთხოვებია ჩრდილოეთის ტრიბუნაზე შეგროვებული ბიჭების გამამხნევებელი შეძახილებისთვის, მთელი ოთხმოცდაათი წუთის მანძილზე უწყვეტად რომ გაისმოდა სტადიონზე. საერთოდ დაავიწყდა ტელემაყურებელი – ფაქტიურად მთელი საქართველო…

ყველა იმათ, ვინც მატჩის დამთავრებამდე მიხვდა, რომ საყურებელი და საქომაგო აღარაფერი იყო, უეჭველად შერცხვათ გულშემატკივრობით გართული

ბიჭებისა, ამისთანა რამეების ჯერ რომ არაფერი იციან, იმათიც, ვისაც ჯერ კიდევ არ დაჰკარგოდა იმედი, თუმცა გარინდებული კი იჯდა ტრიბუნაზე. “დინამოს” სტადიონის მინდორზე კი, მინდორზე, რომელზეც ასობით ღირსეული გამარჯვებაც გვინახავს, პატიოსან ბრძოლაში დამარცხების სიმწარეც, მინდორზე, რომელზეც ქართული ფეხბურთის სახელს ადიდებდნენ პაიჭაძეები, ღოღობერიძეები, იამანიძეები, დასასრულს უახლოვდებოდა გულგრილი გარიგება, მართლაცდა საფეხბურთო ცინიზმი. ეს იყო საკუთარი მაყურებლის, გუნდზე გადაგებული მაყურებლის ღალატი.

საქართველოში უყვართ ფეხბურთი, უყვართ მისი სილამაზის, დინამიურობის, უაღრესად ემოციურობის გამო უყვართ და, მერე როგორ, მისი მებაირახტრე თბილისის “დინამოც”. ხალხის ასეთი სიყვარული დიდი ვალია და თუ გულახდილნი ვიქნებით, ისიც უნდა ვთქვათ, რომ კარგა ხანია ჩვენი გუნდი ამ ვალს ბევრით ვერაფრით ისტუმრებს. და მაინც წლეულს “დინამოს” სტადიონს მაყურებელი არ დაჰკლებია. არა გვგონია, მსოფლიოს რომელიც გნებავთ გუნდმა დაიკვეხოს ასეთი ერთგული გულშემატკივარი. ჰოდა, მანაც კი ვერ მოითმინა. როცა მატჩის დამთავრებამდე საკმაო დრო იყო დარჩენილი, როცა მასპინძლებს, საცა წესი და რიგია, იერიში იერიშზე უნდა მიეტანათ მეტოქის კარზე. ეს ბევრის მნახველი და ბევრის მომთმენი მაყურებელი გაწბილებული და შეურაცხყოფილი ჯგუფ–ჯგუფად გაემართა გასასვლელისკენ. თუმცა, ნაწილი მაინც დარჩა, დარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ სტვენით გაეცილებინა მინდვრიდან უხეირო სპექტაკლის უხეირო შემოქმედნი.

“ლელო”, 13 ნოემბერი, 1984 წ.